№1716 2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2“-ის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) და საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2“-ის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) სესხის ფინანსური პირობების შესახებ

მოწონებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადება საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2“-ის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) და საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2“-ის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკიდან მისაღები სესხის თაობაზე შემდეგი ფინანსური პირობებით:

1. საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2“-ის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) შემთხვევაში:

სესხის ოდენობა: დაახლოებით, 19.9 მილიონი EUR;

სესხის ვალუტა: EUR;

სესხის ხანგრძლივობა - 15 წელი;

შეღავათიანი პერიოდი - 3 წელი;

ვალდებულების გადასახდელი - წლიური 0.15% (აუთვისებელ თანხაზე);

საპროცენტო განაკვეთი - EURIBOR + 0.50% (2015 წლის 30 ივლისის მდგომარეობით 6 თვიანი EURIBOR-ის განაკვეთი შეადგენს 0.048%).

2. საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2“-ის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) შემთხვევაში:

სესხის ოდენობა: დაახლოებით, 38 მილიონი SDR;

სესხის ვალუტა: SDR;

სესხის ხანგრძლივობა - 25 წელი;

შეღავათიანი პერიოდი - 5 წელი;

საპროცენტო განაკვეთი - წლიური 2%.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**